ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე გადატვირთვის პირობებით (შემდგომში "პირობები") განისაზღვრება საქონლის ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორეში გადატვირთვის მომსახურების წესები;
2. პირობები განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს და სხვა სახის პირობებს საქონლის გადატვირთვის პროცესში;
3. საქონლის გადატვირთვის თაობაზე შეკვეთის მიღება ხდება წერილობითი შეთანხმების გაფორმების მეშვეობით (გადატვირთვის შეკვეთა).
4. გადაზიდვის შეკვეთის გაფორმების უფლება აქვს საწარმოს მმართველ დირექტორსა და მარკეტინგის მენეჯერს;

2. ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **"შემსრულებელი"** – შპს "ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი";

ბ) **"შემკვეთი"** – გადატვირთვის მომსახურების შემკვეთი ფიზიკური თუ იურიდიული პირი;

გ) **მხარეები** – შემსრულებელი და შემკვეთი;

დ) **გადატვირთვის შეკვეთა** – წინამდებარე პირობების საფუძველზე შემსრულებელსა და შემკვეთს შორის გაფორმებული წერილობითი შეთახმება გადატვირთვის მომსახურების განხორციელების თაობაზე;

ე) **ხელშეკრულება** – გადატვირთვის შეკვეთა და სხვა სახის შეთანხმება, რომელიც დადებულია მხარეებს შორის წინამდებარე პირობების საფუძველზე საქონლის გადატვირთვის განსახორციელებლად.

ვ) **"ბათუმის საერტაშორისო საკონტეინერო ტერმინალის საქმიანობის პირობები"** – შემსრულებლის მიერ დამტკიცებული წესები, რომელიც მოქმედებს საკონტეინერო ტერმინალის ტერიტორიაზე შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევისას.

2. პირობების საფუძველზე დადებულ გადატვირთვის შეკვეთაში, ხელშეკრულებასა და სხვა სახის დოკუმენტებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ წინამდებარე მუხლით დადგენილი მნიშვნელობა თუ თვით აღნიშნული დოკუმენტებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. კონფიდენციალობა

1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების პროცესში ერთმანეთისათვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია, დოკუმენტაცია და სხვა

ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კომერციულ ფასეულობას, მიუხედავად იმისა წერილობითი ფორმის იქნება თუ ზეპირი, ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად და არ დაუშვებენ მესამე პირებზე მათ გადაცემას/გაცნობას.

2. ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, ვიდრე მხარეები არ შეთანხმდებიან მის გაუქმებაზე.

4. გადატვირთვის პირობები

1. მხარეები თანხმდებიან, რომ სამუშაოების მიმდინარეობამ არ უნდა შეაფერხოს **შემსრულებლის** მუშაობა და ტვირთის დამუშავების ოპერაციები;

2. **მხარეებმა** უნდა გაითვალისწინოს ამინდის პირობები, **ტერმინალის** მუშაობის გრაფიკი და სხვა ფაქტორები, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სამუშაოთა მიმდინარეობის გრაფიკსა და ხარისხზე;

3. შემკვეთი პასუხისმგებელია ნებისმიერი სახის ზიანსა და ზარალზე, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იქნეს გადატვირთვის სამუშაოთა თავისი ბრალით შეფერხებით/შეჩერებით.

5. მხარეთა ვალდებულებები

1. მხარეთა ძირითადი ვალდებულებები განისაზღვრება შემსრულებლის მიერ დამტკიცებული და ტერმინალში მოქმედი **"ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის საქმიანობის პირობების"** შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი შეადგენს წინამდებარე წესების არსებით შემადგენელ ნაწილს;

2. შემსრულებელი ვალდებულია:

2.1. შეუქმნას შემკვეთს გადატვირთვისათვის საჭირო ყველა პირობები;

2.2. მიაწოდოს შემკვეთს ინფორმაცია გადატვირთვასთან დაკავშირებით;

2.3. შეასრულოს სხვა ვალდებულება, რომელიც დადგენილია წინამდებარე პირობებითა და სხვა დოკუმენტებით.

3. შემკვეთის ვალდებულია:

3.1. მოახდინოს ყველა საჭირო ნებართვის/ლიცენზიის მიღება საბაჟოდან და/ან სხვა სახელმწიფო/არასახელმწიფო ორგანოებიდან, რომელიც საჭიროა სატვირთო ოპერაციებს განხორციელებისათვის;

3.2. დროულად მოახდინოს საქონლის მოწოდება და სხვა სახის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება;

3.3. მიაწოდოს შემსრულებელს ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც საჭიროა გადატვირთვის სამუშაოების შესრულებისათვის;

3.4. დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება წინამდებარე პირობების შესაბამისად;

3.5. შეასრულოს შემსრულებლის მიერ გაცემული საქონლის გადატვირთვასთან დაკავშირებული ყველა ინტრუქცია და მითითება;

3.6. დაიცვას საპორტო, სატერმინალო წესები და სხვა რეგულაციები, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით;

3.7. გადატვირთვის დასრულების შემდეგ დროულად გაიტანოს საქონელი ტერმინალის ტერიტორიიდან და მოაწესრიგოს/დაალაგოს გადატვირთვის ადგილი.

6. უსაფრთხოების წესები

1. ტერმინალის ტერიტორიაზე ყოფნისას **შემკვეთი** და მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირი ვალდებულია დაიცვას სამუშაოთა უსაფრთხოების წესები და მათი დაუცველობის შემთხვევაში პასუხისმგებელნი არიან ნებისმიერ დამდგარ ზიანზე;

7. მომსახურების ღირებულება და გადახდის პირობები

1. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება გადატვირთვის შეკვეთით.
2. გადატვირთვის შემკვეთის ბრალით დაგვიანების შემთხვევაში შემკვეთი უხდის შემსრულებელს მოცდენის ღირებულებას შემსრულებლის მიერ დაწესებული ტარიფების მიხედვით;
3. მომსახურების ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს შემსრულებლის მიერ მითითებულ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით;
4. ანგარიშფაქტურის გამოწერა ხდება მომსახურების დაწყებამდე;
5. ანგარიშსწორება უნდა მოხდეს წინასწარ, გადატვირთვის დაწყებამდე.
6. წინასწარ გადახდის გარეშე მომსახურების გაწევა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთის მიერ მოსახურების დაწყებამდე წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საბანკო გარანტია ან სადაზღვევო პოლისი.

8. გადატვირთვის შეკვეთის მოქმედების ვადა

1. გადატვირთვის შეკვეთა მხარეთათვის ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და ძალას კარგავს მხარეთა მიერ შეკვეთით გათვალსიწინებული ვალდებულებების შესრულების მომენტიდან;
2. იმ შემთხვევაში თუ შემკვეთი უხეშად არღვევს შეკვეთით გათვალისწინებულ პირობებს, შემსრულებელს უფლება აქვს ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შეკვეთის მოქმედება მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით;
3. გადაზიდვის შეკვეთა შეწყვეტილად ითვლება შეტყობინების გადაცემის მომენტიდან.

9. წარმომადგენლობა, დასტურები და გარანტიები

1. გადატვირთვის პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი აღჭურვილნი არიან გადატვირთვის შეკვეთის დადებისა და შესრულების სათანადო უფლებამოსილებებით და მოქმედებენ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში.

2. მხარეები ადასტურებენ, რომ გადატვირთვის შეკვეთის ხელმოწერის მომენტისათვის მათ არა აქვთ დადებული რაიმე გარიგება, ან არა აქვთ ნაკისრი რაიმე ვალდებულება და მათთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც თუნდაც უმნიშვნელოდ შეაფერხებს, შეაჩერებს ან შეუძლებელს გახდის მხარეთა მიერ ამ პირობებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

3. მხარეები ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად, კეთილსინდისიერად, ჯეროვნად და დათქმულ ვადებში შეასრულებენ წინამდებარე პირობებითა და გადატვირთვის შეკვეთით ნაკისრ ვალდებულებებს.

4. შემკვეთი იძლევა გარანტიას და ადასტურებს, რომ არ არსებობს კანონი, კანონქვემდებარე აქტი, ხელისუფლების რომელიმე აქტი, გადაწყვეტილება, ან\და დადგენილება, ბრძანებულება თუ განკარგულება ან სასამართლო ან\და საარბიტრაჟო დაწესებულების გადაწყვეტილება, მიმდინარე ან/და ცნობილი, მათ შორის ისეთი რომელიც უნდა ყოფილიყო მისთვის ცნობილი, სასამართლო თუ საარბიტრაჟო დავა, რომელიც თუნდაც უმნიშვნელო ზეგავლენას მოახდენს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე მთლიანობაში, ან\და მისი ცალკეული ნაწილის აღსრულებაზე მისი მხრიდან.

10. დაუძლეველი ძალა

1. წინამდებარე პირობების მოქმედების შემთხვევაში, დაუძლეველი ძალა მხარისათვის ნიშნავს ისეთ მოვლენას ან გარემოებას, რომელსაც მოცემული მხარე გონივრულად ვერ აკონტროლებს და რომლის თავიდან აცილება, შეჩერება ან გამოსწორება არ ხერხდება, მიუხედავად მოცემული მხარის გონივრული ძალისხმევისა და რომლის შედეგადაც ან რომლის გამოც რომელიმე მხარე ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

2. არცერთ მხარეს არ მოეთხოვება წინამდებარე პირობების შესრულება და არ ჩაეთ-ვლება ვალდებულების შეუსრულებლობად, თუ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზი არის დაუძლეველი ძალა.

3. დაუძლეველი ძალის შემთხვევაში, მხარემ, რომელსაც იგი უშუალოდ შეეხება რაც შეიძლება პრაქტიკულად მოკლე ხანში უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ამ მოვლენის შესახებ, რასაც თან უნდა დაურთოს მისი დამადასტურებელი შესაბამისი ფაქტები და მისი სავარაუდო შედეგებისა და ხანგრძლივობის შესახებ მონაცემები.

4. იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გამო გადატვირთვის შეკვეთის შესრულება შეწყდება 3 (სამი) დღეზე მეტი ვადით, მხარეებს აქვთ უფლება შეწყვიტონ გადაზიდვის შეკვეთის მოქმედება და მოახდინონან ანგარიშსწორება ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურების პროპორციულად;

11. დავათა გადაწყვეტა

1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა ამ პირობებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.
2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ყველა სახის დავა, რომლებიც წარმოიშვება მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს შორის წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე ან მისგან გამომდინარე განიხილება და გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, შემსრულებლის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება იქნება საბოლოო და მხარეები არ გაასაჩივრებენ მას
4. დავის არსებობა არ წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს და მხარეები ვალდებულნი არიან გააგრძელონ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარდა სადავო საკითხისა.

12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესების მიმართ მოქმედებს საქართველოს სამართალი;
2. წინამდებარე წესებში დამატებების და ცვლილებების შეტანა ცალმხრივად ხდება შემსრულებლის მიერ. ცვლილებებსა და დამატებებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა უკვე არსებული გადატვირთვის ურთიერთობების მიმართ;
3. საკითხები, რომლებიც არ განისაზღვრება წინამდებარე პირობებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
4. წესებში გამოყენებული ტერმინებისა და დებულებების განმარტებას ახდენს შემსრულებელი, რაც სავალდებულოა გადატვირთვს ურთიერთობებში მონაწილე მხარეთათვის.

# გადატვირთვის პირობები	Batumi International Container Terminal LLC An ICTSI Group Company
	Effectivity date: 1st November 2015
Refer questions to: Marketing Department	Revision No.
Revision to:	Page No.

გადატვირთვის შეკვეთა
Reloading Order

1	შემსრულებელი /Executor	შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი"/LLC „Batumi International Container Terminal"
2	შემკვეთი/Client	შპს „--------„ (ს/ნ----) LLC -------- (ID #------)
3	გადატვირთვის შეკვეთის გაფორმების თარიღი Date of establishing Reloading Order	--/--/2014
4	საქონლის სახეობა Type of Cargo	
5	სატრანსპორტო საშუალება, რომელშიც განთავსებულია საქნელი Transport mean in which cargo is loaded	
6	სატრანსორტო საშუალება, რომელშიც უნდა მოხდეს გადატვირთვა Transport mean in which cargo should be reloaded	
7	გადატვირთვის ვადა Reloading term	
8	გადატვირთვის ღირებულება Reloading price	
9	გადატვირთვის ღირებულების დათვლის დამატებითი პირობები Additional conditions of Reloading Price calculation	
10	ტერმინალის მოცდენის პირობები Terminal detention conditions	
11	გადატვირთვის დამატებითი/განსაკუთრებული პირობა Additional/special conditions of Reloading	

Prepared by: Ketevan Oragvelidze	Reviewed by: 1. Benjamin Rosario; 2. Davit Chkonia	Approved by: Aurelio C. Garcia
Marketing Manager	1. CFO 2. Lawyer	Managing Director

12	გადატვირთვის პირობები/Reloading Terms • წინამდებარე შეკვეთის მიმართ მოქმედებს შემსრულებლის მიერ დამტკიცებული „გადატვირთვის პირობები“, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე შეკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს. • The "Reloading Terms adopted by Executor is applicable to this Reloading Order and is integral part of existing Order. • შემკვეთი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ის იცნობს "გადატვირთვის პირობებს", ეთანხმება მას და იღებს ვალდებულებას მისი პირობების შესრულებაზე. • Client indisputably confirms that he/she is introduced with Reloading Terms, agrees to it and takes obligation to fulfill its conditions. • გადატვირთვის შეკვეთასა და გადატვირთვის პირობებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გადატვირთვის შეკვეთის პირობებს. • In case of controversy between conditions of Reloading Terms and Reloading Order conditions of Reloading Order will prevail. • გადატვირთვის შეკვეთა წარმოადგენს გადატვირთვის მომსახურების ხელშეკრულებას, რომელზე ხელის მოწერით შემკვეთ ადასტურებს თავის უფლებამოსილებას მსგავსი შეთანხმების დადებაზე და იღებს შესაბამის პასუხსიმგებლობას. • Reloading Order is a contract on reloading service and by signing it Client confirms his authorization on establishing such agreement and takes appropriate responsibility. • ტერმინალის მოცდენის პირობები განისაზღვრება შემსრულებლის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. • Terminal detention conditions are defined by tariffs adopted by the Executor.

Prepared by: Ketevan Oragvelidze	Reviewed by: 1. Benjamin Rosario; 2. Davit Chkonia	Approved by: Aurelio C. Garcia
Marketing Manager	1. CFO 2. Lawyer	Managing Director